ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 19-75

"28" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს

მუხლი 1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში (ვებგვერდი, 06/01/2015; სარეგისტრაციო კოდი 330130000.35.101.016104) შევიდეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საქალაქო სასაფლაოებზე ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტები შესაძლებელია შემცირდეს ისე, რომ არსებითად არ შეიზღუდოს საფლავებსშორის დაშორება."

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 და 2^2 პუნქტები:

,,2^1. საქალაქო სასაფლაოებზე მომიჯნავე საფლავების გაერთიანება, რომელთაგან ერთი გაცემულია, ხოლო სხვა (სხვები) - თავისუფალი (მიუხედავად მასზე არსებული ნაგებობების არსებობისა), შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ადრე გაცემულ საფლავზე ადგილის დამატების საერთო წესის შესაბამისად.

2^2. 2^1 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში გაერთიანებულ საფლავში სამარეების საერთო რაოდენობა შესაძლებელია იყოს ექვსზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს ცხრა სამარისა."

3. მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. საფლავში, როგორც წესი, შეიძლება იყოს არა უმეტეს ექვსი სამარე. გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია:

ა) ოპერატორის გადაწყვეტილებით თბილისის მთავრობის თანხმობით;

ბ) ამ წესის მე-6 მუხლის 2^2 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში."

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს მოქმედ წესში. პროექტით, საქალაქო სასაფლაოებზე მომიჯნავე საფლავების გაერთიანება, რომელთაგან ერთი გაცემულია, ხოლო სხვა (სხვები) - თავისუფალი (მიუხედავად მასზე არსებული ნაგებობების არსებობისა), შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ადრე გაცემულ საფლავზე ადგილის დამატების საერთო წესის შესაბამისად, ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში გაერთიანებულ საფლავში სამარეების საერთო რაოდენობა შესაძლებელია იყოს ექვსზე მეტი მაგრამ არაუმეტეს ცხრა სამარისა.

პროექტით, საქალაქო სასაფლაოებზე დგინდება მომიჯნავე საფლავების გაერთიანების წესი. აღნიშნული გამომდინარეობს, რომ ამჟამინდელი ვითარებით შეუძლებელია მომიჯნავე თავისუფალი საფლავის მიერთება, რაც რიგ შემთხვევებში მოთხოვნადია ჭირისუფლის მხრიდან და ამ სერვისის უქონლობა იწვევს მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობას.

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს დედაქალაქში სარიტუალო მომსახურების მოწესრიგება–გაუმჯობესებას.

პროექტი იძლევა საშუალებას საქალქო სასაფლაოებზე ჭირისუფლის მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემულ საფლავი გააერთიანოს მის მომიჯნავედ არსებული საფლავთან ადგილის დამატების საერთო წესის შესაბამისად.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.